№ 20 (8246) თბილისი, ოქტომბერი 1966

# ნიანგი

გამოცემის 44-ე წელი
ფასი 20 კაპ.



ნახ. მ. აბაშიძისა

ნახ. გ. ფირცხალავასი



— წელს შენი ქმარი გაგრაში ხომ არ ისვენებდა?

ხომ წაგიკითხავთ გაზეთში
ასეთი ცნობა პატარა:
„ერთმა იპოვნა საფულე
და იგი მანამ ატარა,
სანამ არ ნახა პატრონი
და არ გადასცა მთლიანად“.
ეჭვი არ არის, ის კაცი
მოიქცა სამართლიანად.
„მეორემ ნახა საათი,
არც აცხელა და აცია:
უმალვე პატრონს გადასცა,
ნახეთ, როგორი კაცია!“
განა ეს გასაკვირია?!
ჩვენი ვალიც ხომ ეგ არის,
არასდროს არ მივითვისოთ.
ჩვენ სხვათა ნაამაგარი.
ხალხური სიბრძნე ლაღადებს
დღესაც, როგორაც ძველადა:
„ქარის მოტანილს ისევე
ქარი წაიღებს ველადა“.
მე კი რატომღაც მგონია,
პირიქით უნდა ხდებოდეს:
იპოვნა, პატრონს არ მისცა,
ეს უნდა იწერებოდეს.

გურამ გუგუშვილი

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— სად დაიკარგე, აღარ ჩანხარ.
— დისერტაციას ვიცავ.
— აგაშენა ღმერთმა, კარგი გამახსენე.

1. რატომაა, რომ ავტომატებში სამკაპიკიანი ვაჟინიანი წყალი წყლის გამყიდველებთან ხუთ კაპიკად იყიდება?

2. ჩაჯდებიან თუ არა მოქალაქენი ტაქსში, თუ შოფერი საზღაურს მრიცხველის მიხედვით გადაახდევინებს?

3. მილიციელი რომ არ იდგეს, ვერის ბაზარში ქვედა გასასვლელით თავის ამოყოფას ამჯობინებდით, თუ ზევიდან გადარბენას?

4. ხომ არ დახურავენ კინოსტუდია „ქართულ ფილმს“, თუ სცენარს თანაავტორი რეჟისორი არ ეყოლება?

5. ხომ არ აიწევდა ქართული პოეზიის ფასი, თუ სახალხო პოეტის გამქრალ წოდებას აღვადგენდით?

6. 1967 წლის ფეხბურთის სეზონის დადგომიდან აბონემენტები და ბილეთები ადმინისტრაციული წესით ხომ არ დაურიგდებათ მატჩებზე დასწრების არამსურველებს?

7. იყო თუ არა წელს მისაღებ გამოცდებზე ისეთი აბითურიენტი, რომელსაც მარტო თავისი იმედი ჰქონდა?

8. იყო თუ არა ბარათაშვილი პოეტი, რადგან ლექსების ტომეულები არ გააჩნდა?

ე. მეიხი.

# უნდა დაიწეროს!

ეზოში გაზის მილებს აწყობენ...

ხის აივანზე მხარბეჭგანიერი ქალი, ზინა, გადმომდგარა. ქალს წითური თმა შუბლზე გასჩეჩია. აივნის ხარიხას ისე დაჰბჯენია, თითქოს ტრიბუნაზე დგას და სიტყვა უნდა წარმოსთქვასო. ეზოში, მუშებს გარდა, არავინ ჩანს.

უცებ ზინამ თვალი მოჰკრა ღრმადმოხუცებულ ლიზას, პატარა სკამით რომ გამოხანხალდა. ლიზას ეზოში მყუდრო ადგილი აქვს ამოჩემებული, ნიადაგ იქა ზის და მზეზე ბებერ ძვლებს ითბობს.

— შენ რა, გაზის ქურას გიდგამენ? —დასჭექა ზინამ აივნიდან.

— რად გინდა გაზი, ცალი ფეხი სამარეში გაქვს! — არ ცხრებოდა ზინა, მაგრამ მოხუც ლიზას ვერაფერი გააგონა და ახლა მუშებს დასჩხავლა:

— თქვენ რა, მაგას მართლა უდგამთ გაზის ქურას?

— პროექტში გვაქვს, ქალბატონო!

— მე არ მიდგამთ?! მე არა გყავართ პროექტში?! მიცვალებულებს, სამარის პირზე მისულებს... თქვენზე უნდა დაიწეროს! სწორედაც რომ უნდა დაიწეროს!

— ქალბატონო, ნუ ღელავთ! თქვენ სათავსები არა გაქვთ, არც საკუთარი და არც საერთო. აივანზე კი გაზის ქურა არ დაიდგმება.

— არ დაიდგმება?! თავის გასამართლებელ საბუთებს როგორ უცებ გადმოალაგებენ! უნდა დაიწეროს! უნდა დაიწეროს!

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში წერა ყველამ ისწავლა. წერა-კითხვის უცოდინარობა მთლიანად ლიკვიდირებულია. ზოგმა საშუალო დაამთავრა, ზოგმა უმაღლესიც დაუმატა. სასწავლებლებში რაღაცას აწერინებდნენ. უნდოდათ თუ არ უნდოდათ, უნდა ეწერათ, რადგან ამაში ნიშანს იღებდნენ. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კი მრავალ მათგანს არაფრის წერა აღარ უხდება, თუ არ გავითვალისწინებთ განცხადებებს ბინაზე, ტელეფონზე, სახურავის შეკეთებაზე... ზოგს მრავალჯერ უხდება ერთი და იგივეს წერა... მაგრამ ყველაფერი ეს ძალიან უმნიშვნელო ნაწარმოებებია. ბევრი მათგანი არქივების ჯურღმულებში ჰქრება.

— უნდა დაიწეროს! — გაჰკივის ქალი აივნიდან.

უთენია, ექვს საათზე, დგება ქალბატონი ზინა და იქიდანვე ეფრთხობა მეზობლებს ძილი.

მუდამ რაღაცით უკმაყოფილოა, მუდამ ვიღაცას ედავება და ყველას გასაგონად გაჰყვირის:

— უნდა დაიწეროს!

ერთხელ დიდი წვიმა მოვიდა. მეზობელს ახალშერემონტებულ სახურავში წყალი ჩაუვიდა...

იჭექა ზინამ:

— ვერ გაუკეთებიათ კარგად იმ მიწადასაყრელებს. ამ ღმერთსაც რა ღმერთი გაუწყრა, დაუშვა და დაუშვა! საშველი არ დაადგა! უყურეთ, უყურეთ ერთი, კიდევ იღრუბლება! იღრუბლება და უფრო დაუშვებს! მერე მეც ჩამნომივა წყალი! სამართალი არ არის, არა! უნდა დაიწეროს, აუცილებლად უნდა დაიწეროს!

ბავშვმა მეზობელს ფანჯრის მინა ჩაუმსხვრია ბურთით. ბავშვის მშობლები ძლიერ შეწუხდნენ, მინა მაშინვე ჩასვეს. მეზობლები ამაზე ერთმანეთს არ დამდურებიან. მერე რა მოხდა, ბავშვიაო. მერედა, ბავშვი ვის არ ჰყოლიაო, ბავშვი ვინ არ ყოფილაო...

ზინამ კი დოინჯი შემოიყარა:

— იცით, რა გითხრათ? ეს თავხედობაა და მეტი არაფერი! ჰმ! მინა ჩასვეს და ყველაფერი ამით დამთავრდა?! დამთავრდა კი? ისევ დალეწავენ! ისევ ბაც, ბაც, ბაც! ქვეყანა გადაირია ფეხბურთით. ხვალ ეგ ბურთი ჩემს აივანზე ამოხტება, ქვაბში ჩამივარდება, ოთახში შემომეჭრება... ამირევს, დამირევს!

ზინას თვალს რამე გამოეპარება?! მესამე სართულზე ერთი მოხუცებული ქალი ნიადაგ რაღაცას რეცხს. ხან რას გამოჰფენს გასაშრობად, ხან — რას.

ზინა ამაზედაც ბრაზობს:

— რომ მოკვდება, მაგის საფლავზე ორ ჯოხს დავასობ, ბაწარს გავაბამ და ზედ ჭინჭებს დავფენ! ეს იქნება მაგისი ძეგლი! უნდა დაიწეროს! მაგაზედაც უნდა დაიწეროს!

კაცი კაცზე წერს. კაცი მცენარესაც ეხება თავის ნაწარმოებებში. კაცი კაცს ასმენს, უჩივის. მაგრამ კაცი იხოველს ან მცენარეს უჩიოდეს, გაგონილა?

ორი დღე იწვიმა. მეზობელს კვლავ ჩაუვიდა წყალი. როცა გამოიდარა, მოვიდნენ სახურავის შემკეთებლები. კრამიტები შეასწორეს და სახურავზე დაყრილი დამჭკნარი ფოთლები ეზოში გადმოყარეს.

— აი, უყურეთ! — დაიქუხა ზინამ, — სულ ამ ფოთლების ბრალია ყველაფერი! წყალი ძირს აღარ ჩამოუშვა და სახურავიდან სხვენში მისცა პირი. ვის უნდა ის ხე? ვის რაში სჭირდება? გვიჩრდილებს? არ გვიჩრდილებს! ნაყოფს ისხამს? არ ისხამს! ვის უნდა, ვის?! ანდა, რუსთაველის პროსპექტზე რომ ჭადრებია, ვის რაში სჭირდება ის ჭადრები? გვეთხებით! გაუმართეს საჩრდილობლები უსაქმურებს, ლაზღანდარებს. ვინ იცის, უწმაწურ სიტყვებსაც კი ამბობენ ისინი... ნახეს გასამრავლებელი ხის ჯიში! მოსაჭრელი და გადასაყრელია ყველა! უნდა დაიწეროს, აუცილებლად უნდა დაიწეროს!

მინაწერი:

რიხიანად გაჰკივის, უნდა დაიწეროსო, მაგრამ რით დაწეროს? ამასწინათ დეპეშა მიუვიდა და ხელის მოსაწერად ფანქარი მეზობელს სთხოვა იქადნება, თორემ წერაზე გული როგორ მიუვა!

თენგიზ გოგოლაძე

თბილ ქორვაჭრობ რეკლამა



მოდების ჩვენება.

ამას წინათ ჩატარდა თვითმოქმედი კოლექტივების სარაიონთაშორისო ოლიმპიადა. ოლიმპიადამ მაღალმხატვრულ დონეზე ჩაიარა და მაყურებლის დიდი მოწონება და აღტაცება დამსახურებულად დაიმსახურა.

ოლიმპიადის ჟიურიმ, რომელიც ავტორიტეტული პირებით იყო დაკომპლექტებული, შედარებით ადვილად გაართვა თავი მუსიკალურ ნაწილს და ადგილებიც ობიექტურად გაანაწილა. სამაგიეროდ, ცეკვებმა ჩიხში ჩააყენა ჟიური და თავსატეხი გაუჩინა.

თვითმოქმედი კოლექტივები მაყურებლის წინაშე წარსდგნენ მრავალფეროვანი ცეკვებით. გარდა „ქართულის", „მხედრულის", „მთიულურის" „ხორუმის", „განდაგანის" და სხვა ხალხური ცეკვებისა, (რომლებმაც, მართალია, მოწონება დაიმსახურეს, მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არ ეღირსათ საპრიზო ადგილები) წარმოდგენილ იქნა ახალი სიუჟეტური ცეკვები, რომლებმაც პრეტენზიები განაცხადეს პირველ ადგილზე. ყველა ამ ცეკვის განხილვა შორს წაგვიყვანდა. შევეხებით მხოლოდ რამდენიმეს:

ცეკვა „მეშახტური". ეს ცეკვა გამოირჩეოდა თავისი შინაარსით, ღრმა იდეურობითა და სიუჟეტის ლოგიკური განვითარებით.

...აკორდეონის მუსიკის ქვეშ მეშახტის ფორმებში გამოწყობილი ექვსი გამურული მამაკაცი ფეხის ნელი გასმით შემოდის სცენაზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მთელი ერთი ბრიგადაა. აკორდეონი ნელ ტემპში უკრავს, თითოეული მოცეკვავე შეიარაღებულია მეშახტეთა ბურღებით. უცებ აკორდეონი უმატებს დაკვრის ტემპს, მოცეკვავეები ხელებით ჰორიზონტალურად იჭერენ ბურღებს და ცალ მუხლზე ოდნავ მოხრილები წინ-წინ მიიწევენ. ცეკვის ამ ნაწილში მეტად უშუალოდაა გადმოცემული მეშახტეების დაუღალავი და გმირული შრომის პროცესი.

მოულოდნელად მეაკორდეონე წყვეტს დაკვრას, მოცეკვავეები ჩერდებიან, ბურღებს იატაკზე აწყობენ, მარჯვენა ხელებით ერთდროულად იწმენდენ შუბლზე ოფლს და ერთდროულადვე ორივე ხელს წევენ მაღლა, მხრების სიგანეზე. ყველაფერი მზესავით ნათელია: შვიდსაათიანი სამუშაო დრო ამოიწურა, მაგრამ ცეკვა აქ როდი მთავრდება. კულისებიდან აკორდეონის ჩქარ ტაქტზე ბუქნა-ბუქნით ევროპულ კოსტუმებში გამოწყობილი სამი მამაკაცი გამოდის. ესენი, ალბათ, ტრესტის მმართველი, შახტის უფროსი და მთავარი ინჟინერია. მოცეკვავეები მათ თავის დაკვრით, ე. ი. სალმითა და ცეკვით უახლოვდებიან. სამი მამაკაცი ბუქნიდან ქართულ ცეკვაზე გადადის და უახლოვდება ექვს მეშახტეს. ცეკვა მთავრდება მაშინ, როდესაც ტრესტის მმართველი ბუქნა-ბუქნით ისევ კულისებში გადის და ტანის ნარნარი რხევით შემოაქვს გარდამავალი წითელი დროშა.

„მედიცინის მუშაკთა ცეკვა". ამ ცეკვას პროლოგიდან ეპილოგამდე წითელი ხაზივით გასდევს ჰუმანურობა და ოპტიმიზმი.

...ისმის სამგლოვიარო მარშის ხმა. სანიტრების ფორმებში გამოწყობილ მამაკაცებს საკაცით, რომელიც კუბოს წააგავს, შემოაქვთ ადამიანის გვამი. საკაცეს ტირილითა და ცეკვით უკან მოჰყვება შავებით შემოსილი ოთხი თმაგაშლილი და თავდახრილი ქალი. სამგლოვიარო მარში თანდათან გადადის ოპტიმისტურად აჟღერებულ მუსიკაში. კულისებიდან გამოდის ფეხის წვერებზე შემდგარი სათვალიანი ექიმი; მას თეთრი ხალათი აცვია და ხელში ნემსი და საექიმო მილი უჭირავს. ექიმი თანდათან უახლოვდება საკაცეს. ქალები წრეს კრავენ მის გარშემო და ცეკვავენ. უცებ იწყება ტემპერამენტით აღსავსე მუსიკა; ექიმი ხტის, ეცემა მუხლებზე და მილს ადებს ავადმყოფს, შემდეგ შეშინებული უკან ბრუნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფი უკვე თითქმის მკვდარია; ხელებისა და სახის ჟესტიკულაციით ექიმი ანიშნებს ჭირისუფლებს, რატომ დროზე არ მოიყვანეთ ჩემთანო. კვლავ სამგლოვიარო მუსიკა. შავებში გამოწყობილი ქალები წრეს კრავენ ექიმის გარშემო და „სამაიას" მუსიკის ქვეშ გარს უვლიან.

ექიმი შუბლზე იდებს ხელს და ისევ საკაცეს უახლოვდება. მას, ამჯერად, ხელში ნემსი უჭირავს. სანიტრებს კი — ჟანგბადის ბალიშები. მუსიკა ერთი წამით წყდება. ექიმი უკეთებს ნემსს გვამადქცეულ კაცს. ისმის ისევ ტემპერამენტით აღსავსე მუსიკა. „მოვრჩი!" — ყვირის გვამი საკაციდან და აკრობატულ ნახტომში მუხლისთავებზე ეცემა. იგივეს იმეორებს ექიმიც.

პაციენტი და ექიმი იწყებენ თავბრუდამხვევ ცეკვას ფეხის წვერებსა და მუხლისთავებზე. შავით მოსილი ქალები იხდიან კაბებს და თეთრ პერანგებში ცეკვავენ .სანიტრები ჯიბეებიდან იღებენ ჩაის ჭიქებს, ჟანგბადის ბალიშებიდან ასხამენ არაყს, იდგამენ თავებზე და ცეკვავენ „კინტოურს".

სამიოდე სიტყვით შევეხებით კიდევ სამიოდე ცეკვის — „მეხანძრულის", „მონადირულისა" და „გასტრონომიულის" ფინალებს.

ცეკვაში „მეხანძრული" კარგადაა გააზრებული სტიქიონთან ბრძოლის მთელი სიძნელეები. სცენაზე ანთია ნამდვილი ცეცხლი. ვიღაც ყვირის: „პაჟაააარ!" დარბაზიდან სცენაზე შლანგებით შემორბიან მეხანძრეები და აქრობენ ცეცხლს. ეს ცეკვა უსათუოდ კარგ ადგილს დაიკავებდა, მაგრამ მოხდა პატარა გაუგებრობა: მეხანძრეებმა ვერ მოზომეს ხანძრის ადგილი და პარტერის სამ რიგში მსხდომი მაყურებლები მთლიანად გალუმპეს მტკვრის წყლით.

ცეკვაში „მონადირული" მაყურებლის გული მოინადირა ბატალურმა სცენამ. სცენაზე ტყავის ჯუბებში, ჩექმებსა და კახურ ქუდებში გამოწყობილი მონადირეები შემოდიან. ისინი ჯერ ათია, შემდეგ — ოცი, კიდევ შემდეგ — ოცდაათი, სულ ბოლოს კი — ოთხმოცი. თოფები ყველას მზადყოფნაში აქვს. ერთ-ერთი დაოთხილი მოცეკვავე დიდი სიმართლითა და დამაჯერებლობით ანსახიერებს მეძებარ ძაღლს: ყნოსავს იატაკს და ყეფს. უცებ კულისებიდან გადმოაფრენენ მწყერს. ოთხმოცი თოფის ზალპი ერთდროულად გაისმის და მწყერი უსულოდ ეცემა; მოცეკვავე ძაღლი გარბის და მწყერი პირით მიაქვს პირველ მონადირესთან. გაფატრული ფრინველი ხელიდან ხელში გადადის.

„მონკავშირის" ქორეოგრაფიული წრის ეს დადგმა ალბათ მალე ხალხის საკუთრებად იქცევა.

არანაკლებ საინტერესო იყო ვაჭრობის მუშაკთა კლუბის მიერ წარმოდგენილი ცეკვა „გასტრონომიული". ცეკვის ფინალში გამყიდველი, სამკაპიკიანით ხელში, ჩქარი ცეკვით მისდევს მომხმარებელს, რომელსაც ხელში ძეხვი უჭირავს. გასტრონომის დირექტორი კი მისდევს მას დიდი ტრანსპარანტით, რომელზედაც აწერია: „მოითხოვეთ ხურდა!"

ამ დღეებში ჟიური ეცდება გამოავლინოს გამარჯვებული კოლექტივი.

გ. მეტრეველი

## კიბერნეტიკის ღიმილი



სწორი პასუხი.

ნახ. დ. ბაშელეიშვილისა



ნახ. დ. ზარაფიშვილისა

ნოკაუტი.

ნახ. დონისა



ც ა ნ ც ა რ ა: ამასაც ათქმევინეთ ორი სიტყვა!

## თუ გაქვთ წარმოდგენილი?

ცხრა დღის ჩამოტანილი,
ცხრაჯერ ხელმოწერილი —
კიტრები და მწვანილი?

შარშანწინ მიღებული —
ბინა, გაფორმებული,
ცხრაკლიტედადებული?

სიცხეები — ცხარი,
მიწა — გადამწვარი,
შეწყვეტილი წყალი?

ჩანთა — გამოტენილი,
(ბინა — მერვე სართულზე),
ლიფტი — გამოკეტილი?

ლ. მარტაშვილი

## მძიმე ავადმყოფობა

გამოცდების დაწყებამდე ერთი თვით ადრე ჯანიკო( იგივე დარეჯანი) ჩააწვინეს ლოგინში, დაასიეს ნაცნობი ექიმები და საჭირო ცნობებით შეიარაღებული მშობლები დამწუხრებული სახით ეახლნენ დირექტორს.

— ვიღუპებით, ბატონო, — ცრემლები წამოსცვივდა კატუშას, — დედისერთა ჯანიკო გვიკვდება!

— რას ამბობთ?! — შეიცხადა დირექტორმა, — მართლა?

— ა, ბატონო, ცნობები ნახეთ! და მაგიდაზე საავადმყოფოების, დისპანსერებისა და ლაბორატორიების მიერ გაცემული თოთხმეტი ცნობა დაულაგა.

დირექტორმა გულდასმით გადახედა ქაღალდებს, თავი გააქნია და შეწუხდა.

— კი მაგრამ, ამ ცნობების პატრონი კიდევ ცოცხალია?

— ჯერჯერობით კია, მაგრამ არ ვიცით, როდის დაგვექცევა ოჯახი. — თქვა გალაქტომ.

— უნდა გვიშველოთ, თქვენ გენაცვალეთ, გამოცდებიდან უნდა გაგვითავისუფლოთ! — აზლუქუნდა კატუშა.

— მომიტევეთ, მაგრამ გამოცდებიდან გათავისუფლება რად გინდათ?!

— აბა, ატესტატი როგორ აიღოს! — გაიოცა გალაქტომ, — ნემსებისგან საცერივითაა დაცხრილული საწყალი ბავშვი.

— ჰო, ასეთი ავადმყოფი გამოცდებს მართლაც ვერ ჩააბარებს, — დაემოწმა დირექტორი, — კარგი, აღვძრავ შუამდგომლობას და ვნახოთ. ისე კი... თქმა ძალიან მიძნელდება, მაგრამ ამ ცნობების თანახმად თქვენი ქალიშვილი გამოცდების დაწყებამდეც ვერ მიატანს... რას იზამთ, უნდა შეურიგდეთ ამას.

აქვითინებული, მაგრამ ბედის მადლიერი მშობლები უხმოდ გამოვიდნენ კაბინეტიდან.

იმავე ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ინსტიტუტში წარსადგენ ჯანმრთელობის ცნობაზე პოლიკლინიკაში მისული ჯანიკო და მისი მშობლები ოფლად იხვითქებოდნენ რიგში.

ახალგაზრდა ექიმმა ჯანიკოს ახედ-დახედა:

— ამას გასინჯვაც არ უნდა. ლოყები ვარდივით უღვივის! — თქვა აღტაცებულმა ექიმმა, — თანაც პირველთანრიგოსანი ყოფილა, ყოჩაღ გოგონი!

— ენაცვალოს დედამისი, — თქვა კატუშამ, — ბავშვობიდანვე ვარჯიშობს, რკინის ბურთს ყველაზე შორს ისვრის. თვრამეტი წლისაა და ჯერ თერმომეტრი არ მითხოვია მეზობლობაში.

— ნეტავი ყველა ასეთი გვყავდეს! — ინატრა ექიმმა და ექთანს უთხრა, ასპროცენტიანი ჯანმრთელობის ცნობა დაუწერე ინსტიტუტში წარსადგენადო.

— ვაი, ჩემი ბრალი! — ყრუ კვნესა აღმოხდა სწავლის ღმერთს.

კვნესა იმდენად ყრუ იყო, არავის გაუგონია.

თინა ჟორჟოლიანი

ნახ. ნ. მანუკიანისა



თვითმკვლელობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოები ზ. ხამაშურიძისა

## ძველი „თბილისის“ სურათები

— ვინ ააშენა თბილისი? — მეკითხება ბავშვობის მეგობარი.

— სერიოზულად მეკითხები? ვახტანგ გორგასალმა!...

— არა ხარ მთლად მართალი.

— აბა, ვინ ააშენა, კაცო?

— შოთა რუსთაველმა!

ეს იყო რუსთაველის 800 წლისთავის იუბილეს დღეებში და ჩემი ამხანაგი არ სტყუოდა — სატახტო ქალაქის ყოველი კუთხე-კუნჭული იკაზმებოდა, შენდებოდა, მშვენდებოდა. შოთაობამ მართლაც ააშენა თბილისი.

— აი, ასეთი უნდა იყოს ყოველთვის ჩვენი დედაქალაქი! — ვამბობდით ზეიმის დღეებში და ამაყად დავაბიჯებდით დალაგებულ, გაკრიალებულ, მომღიმარ და თავაზიან თბილისში.

... აი, სწორედ ასეთი რომ იყოსო ყოველთვის, ნიანგმა ერთხელ კიდევ გადაავლო ფოტოთვალი ჩვენს დედაქალაქს და ფოტოობიექტივის ობიექტურობით წამოაყენა ფოტობრალდებები.

არქივი არ გეგონოთ, ეს არის „ძველი“ თბილისის სურათები ახალ თბილისში.



ამ მაღაზიას დაამშვენებდა რეკლამა: „გვაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები“. აქ ეტყობა, მართლაც იმდენი საქონელი აქვთ, რომ „ვერვისგან ანაწონები“ გადაწყვეტილება და ყუთები ქუჩაში ერთად გამოუტანიათ.



წესრიგისა და სისუფთავის სადარაჯოზე.



ცხვარი და მისი პატრონი ავტოგაპარსვის წინ.



ჩალეწეს ფანჯრები, გადააყირავეს ურნები, ჩამოილეს ჯიხურის კარი, ხუფიანად მოგლიჯეს ტელეფონი და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს ადამიანებთან.

(ნაწყვეტი რომანიდან „ტრაგედია უგმიროდ“).



სარეცხის პატრონმა უპატრონო ქუჩა რომ ნახა, თეთრეული გამოფინა. გამოფენის დამთვალიერებლებს ბევრი „საინტერესო“ ექსპონატი ელით. ქუჩაში გამომზეურებული თეთრეულის კიდევ უფრო გამომზეურება იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ რაც შეიძლება ჩქარა გაშრეს და ჩამოხსნან სარეცხი. ეს ხომ თავის მოჭრაა!



პეტრიწის მოედნის ახალი სახე და ძველი სურათი.



კინოთეატრი „გაზაფხული“. საშუალო სკოლა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი... ამ არატრადიციული სამკუთხედის შუაგულში — ანაგის ხალხმრავალ ქუჩაზე კი... რამდენიმე წელიწადია ბებრის კბილივით შემორჩენილი ეს ნაგებობები უნდა აეღოთ მაგრამ იგი უყურადღებობის, თავმოუბმელობისა და ბიუროკრატიზმის ციხესიმაგრესავით დღემდე აუღებელი დარჩა.

რა უნდა აქ ფარღალალა ფიცრულ 00-ს? ასეთ ცენტრალურ ქუჩაზე ასეთი შენობის ჭვერდით? ასეთ ფაქტებთან ასეთი საყაიმო ანგარიშით ვერ დავამთავრებთ შეხვედრას.



ავიდა. „საზრიანმა“ ქორვაჭრებმა გადაწყვიტეს ცოტა ხელი მოეთბოთ და მამაპაპური რკინის ლუმლებით ზედ გმირთა მოედანზე გააჩაღეს „საცალო“ ვაჭრობა.



— აქეთ კარგი სიმინდი, „სემიჩკააა“! (შეითანხმებრის ფრაგმენტი სპორტის სასახლის წინ).

ბიბლიოთეკის ს ს რ ხაჯელმწიფო ... № 732 შემოვიდა 19 6 31/+

ნახ. გ. ფირცხალავასი



— სარეცხ მანქანას რატომ არ ყიდულობ?
— სარეცხი მანქანა რომ ვიყიდო, დედამთილს რაღა ვუყო?!

## პოლონური იუმორი

**არგუმენტი**

— პანი კოვალსკი, მგონი, გარდაიცვალა.

— რატომ გგონია, ნეკროლოგი ნახე?

— არა, მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაც ძალზე კარგად დაიწყეს მასზე ლაპარაკი.

**რენტგენი**

— გაიგე? ლიალია რენტგენოლოგს მიჰყვება.

— იგი, ალბათ, ერთადერთია, რომელმაც რაღაც დაინახა მასში.

**პროგრესი**

ქალიშვილი ეუბნება ახალგაზრდა ვაჟს:

— მახსოვს, ოდესღაც მეუბნებოდი, რომ შენთვის მთელი სამყარო ვარ.

— დიახ, მაგრამ ახლა ჩემი ცოდნა გეოგრაფიის სფეროში შესამჩნევად გაფართოვდა.

**მიღებაზე**

დედა სახიამოვნო შესახედაობის ქალიშვილითურთ შედის ექიმის კაბინეტში.

— გეთაყვა, გაიხადეთ თუ შეიძლება! — მიმართავს ექიმი ქალიშვილს.

— მაპატიეთ, მაგრამ ავადმყოფი მე ვარ! — ამბობს დედა.

**მეგობრული დახმარება**

მძღოლი ეუბნება თავისი მანქანის ქვეშ მოქცეულ მოქალაქეს:

— გეთაყვა, თქვენ მაინც მანქანის ქვეშ ხართ და ნახეთ, ხომ არ გატეხილა რამე?

თარგმნა ვიოლა ჯაფარიძემ

## კომედია უგმიროდ

— ორი ბილეთი!...

— ა-პა-პა-პა! როგორ გვკადრებათ, ქალბატონო ზინა!

— თუ და ხარ, მაცალე, ჩემო გულიკო!

— არა, შენ შემოგევლე! აგერ ხურდა მაქვს.

— მაინც უნდა დამეხურდავებინა, ჭირიმე! აიღეთ ორი!

— ზინა, ჩვენს სიყვარულს და კარისმეზობლობას გაფიცებ!

— სახლში არ მიხვიდე ცოცხალი, გულო, თუ აიღო!

— რას მწყევლი, შე ქალო?

— დაიბრუნე უკან, ახლავე!

— უკან დასაბრუნებელი რა მჭირს ნეტა, ა?!

— რა გეწყინა, ისე, სიტყვაზე გითხარი!

— ჰოდა, რომ ლაპარაკობ, დაუფიქრდი ხოლმე!

— ვითომ რატომ, აა?

— რატომ და იმიტომ!

— კარგი ერთი, ნუ გადიქეცი ენად!

— ზინაია თხაო, ენა შენ თვითონ გააჩერე, რომ გადმოგიგდია და არ იცი, რას ტლიკინებ ამხელა პატიოსან საზოგადოებაში, ხალხის მაინც შეგრცხვეს, თუმცა შენ ბაზარში სირბილის მეტი რა იცი!

— რა ვუყოთ, ყველას ქმრის წყალობით ჩუმად არ მოდის სახლში დაბეჭნილი „პრავეზიები“. იცოცხლე, ერთხელ იქნება, ჩაგმწარდებათ! ჩვენთან რომ ბინა მიიღეთ და ძველი ორი ოთახი არ ჩაგიბარებიათ, არ ვიცი გგონია? ჟაკე და ნახალოვკა სულ შენი გგონია, განა? ვაი მას, ვინც შენ გულო დაგარქვა, გული კი არა, რიყის ქვა გიდევს მკერდში, შე უჯიშო, შენა!

— შვილი რომ პრაქტიკით მოაწყვეთ? შენ თვითონ არ მითხარი ფულს ვინ ჩივის, რაკი მოვაწყვეთო? მართლაც, ფული რა დასანანია, თუ თქვენი გამოტვინებული გია უმაღლესს ელირსა!

— გაგპუტავ, შე ჯოჯოხეთის მაშხალავ, შე კუდიანო, შენა!

— კუდიანს გიჩვენებ მე შენ!

კონდუქტორი: მოქალაქე მგზავრებო, შეიძინეთ ბილეთები!..

ზინა (აწვდის ხურდას): ერთი!

გულიკო (ისიც აწვდის): მეც ერთი!

ავთანდილ გურგენიძე

ნახ. ჯ. ლოლუასი




— საათია ვწვალობ, მაგრამ ვერაფრით ვერ გავაღვიძე.
— კარგად ნახე, მაგას რამე „სეკრეტი“ ექნება.

მთავარი რედაქტორი ნოდარ დუმბაძე.

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი რუსთაველის პრ. № 42. ტელ. რედაქტორის 9-76-69. საერთო განყოფილების — 3-10-78.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ხელმოწ. დასაბ. 14/X-1966 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 3516 უე 08293 ტირაჟი 55000

66-732
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგის უცხოური სასადილო

# უცხოური ფელეტონი

ИНДЕКС 76317

## ფრანკო ფასს იწევს

ნატოში შექმნილი არახელსაყრელი მდგომარეობის გამოსწორება ბონელ და ამერიკელ გენერლებს სურთ ესპანეთის მიწებზე სამხედრო-საჰაერო ბაზების ქსელის გაფართოებით.





მიწიერი სიყვარული

## „საერთო“ ბაზარი და დიასახლისის აზრი



ამას წინათ ინგლისის პარლამენტის დეპუტატმა ედელმანმა ევროპის საერთო ბაზრის შესახებ მოსახლეობის აზრის გასარკვევად ქალაქ კოვენტრის ქუჩაში პირველივე შემხვედრი ქალი გააჩერა და შეეკითხა:

— მაპატიეთ, ლედი! მე მაინტერესებს თქვენი აზრი ევროპის საერთო ბაზრის შესახებ.

— დიდებულია, — უპასუხა ხანშიშესულმა ქალბატონმა და მცირე ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა: ეს არის მხოლოდ ძალიან შორსაა და როგორ უნდა ვიაროთ იქ, ვერ წარმომიდგენია.

## განგსტერი სპილოები



ქალაქ ალექსანდრიის ბანკის თანამშრომლები მეტად არაჩვეულებრივი სანახაობის მოწმენი გახდნენ: ერთ მშვენიერ დღეს ბანკის შენობაში ორი „თავზეხელაღებული“ სპილო შემოვარდა და იქაურობა დალეწა. კიდევ კარგი, რომ დროზე მოუსწრო მომთვინიერებელმა, რომელიც მთელი დღე დაეძებდა დაკარგულ ცხოველებს და ბანკი განადგურებას გადაარჩინა.

## დიდი მეცნიერის ქათინაური

ერთხელ დარვინს განაწყენებული ლამაზი ქალი შეეკითხა:

— ნუთუ, მისტერ დარვინ, ჩემი წინაპარიც მაიმუნი იყო?

— რასაკვირველია! — უპასუხა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა და როცა ქალის სახეზე აღშფოთება შენიშნა, დასძინა:

— მხოლოდ ჩვეულებრივი კი არა, ულამაზესი მაიმუნი.

## ყარაჩოღელი მამალი



იუგოსლავიის ქალაქ პულაში „უდროოდ“ გარდაიცვალა საქვეყნოდ ცნობილი მამალი, რომელიც დღეში ორ ჭიქა ღვინოს სვამდა და ლოთი კაცივით ექაჩებოდა სიგარეტს.

ნახ. გ. ლომიძისა